

განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|--|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფიზიკა/Physics |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | პირველი ნაწილი: ფიზიკის მაგისტრი/ Master in Physics მეორე ნაწილი: კვლევის მაგისტრი ფიზიკაში/ Master of Research in Physics |
| პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | პროფესორი ნუგზარ ღომიძე - gomidze@bsu.edu.ge ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე - izolda.jabnidze@bsu.edu.ge ასოცირებული პროფესორი ომარ ნაკაშიძე - omar.nakashidze@bsu.edu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1) | პირველი ნაწილი - 60 ECTS მეორე ნაწილი - 60 ECTS |
| სწავლების ენა | ქართული ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | პირველი ნაწილი: ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მეორე ნაწილი: ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | პირველი ნაწილი: ✓ მოამზადოს პროფესიონალი ფიზიკოსები, რომლებიც ფლობენ ბგერითი და ელექტრომაგნიტური ტალღების კომპლექსურ ან/და ცოცხალ მატერიასთან ურთიერთქმედების თეორიული ასპექტების ღრმა და სისტემურ ცოდნას; კვლევის ინოვაციურ და ზოგიერთ უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას; ფუნდამენტურ და ინოვაციური რადიოფიზიკურ და მაგნიტოოპტიკურ მეთოდებს და ანალიზური და რიცხვითი მეთოდების გამოყენებით „ველი-მატერია-ველი“ პროცესების პროგნოზირებას და კომპიუტერულ მოდელირებას; ✓ გამოუმუშავოს სტუდენტს კომპლექსური ან/და ცოცხალი მატერიისა და ველის ურთიერთქმედების კრიტიკული ანალიზის უნარი, მოპოვებული ინოვაციური ინფორმაციის სინთეზისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარები, რათა აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეძლოს ახალი, ორიგინალური და ინოვაციური იდეების განვითარება. |

| | |
|--------------------------------|--|
| | <p>მეორე ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გამოუმუშავოს სტუდენტს კომპლექსური ან/და ცოცხალი მატერიისა და ველის ურთიერთქმედების კრიტიკული ანალიზის უნარი, მოპოვებული ინოვაციური ინფორმაციის სინთეზისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარები, რათა აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეძლოს ახალი, ორიგინალური და ინოვაციური იდეების განვითარება; ✓ ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, თავდაცვისუნარიანობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლების მიზნით უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების ფიზიკის მაგისტრის თეორიული და პრაქტიკული მომზადება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს დარგის არსი და მნიშვნელობა. |
| <p>სწავლის შედეგები</p> | <p>პირველი ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აყალიბებს ბგერითი და ელექტრომაგნიტური ტალღების კომპლექსურ ან/და ცოცხალ მატერიასთან ურთიერთქმედების თეორიულ ასპექტებს; ✓ აღწერს ფუნდამენტურ და სპეციფიკურ რადიოფიზიკურ და მაგნიტო-ტოპოტიკურ მეთოდებს, განაზოგადებს რიცხვით და კომპიუტერულ მეთოდებს და სიმულაციურ პროგრამულ პაკეტებს; ✓ გეგმავს რხევით და ტალღურ პროცესებთან დაკავშირებულ ამოცანებს (კვლევითი პროექტებს), ეძებს მათი გადაწყვეტის გზებს, იყენებს რადიოფიზიკურ ან/და მაგნიტო-ტოპოტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს; ✓ პროგნოზირებს „ველი-მატერია-ველი“ პროცესებს, იყენებს ანალიზურ და რიცხვით მეთოდებს, ასრულებს კომპიუტერულ მოდელირებას რეალური და რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე; <p>მეორე ნაწილი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ აღწერს ფუნდამენტურ და სპეციფიკურ რადიოფიზიკურ და მაგნიტო-ტოპოტიკურ მეთოდებს, განაზოგადებს რიცხვით და კომპიუტერულ მეთოდებს და სიმულაციურ პროგრამულ პაკეტებს; ✓ განავითარებს ახალ და ორიგინალურ იდეებს და აცნობიერებს უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის მნიშვნელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლების მიზნით; ✓ გეგმავს რხევით და ტალღურ პროცესებთან დაკავშირებულ ამოცანებს (კვლევითი პროექტებს), ეძებს მათი გადაწყვეტის გზებს, იყენებს რადიოფიზიკურ ან/და მაგნიტო-ტოპოტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს; ✓ პროგნოზირებს „ველი-მატერია-ველი“ პროცესებს, იყენებს ანალიზურ და რიცხვით მეთოდებს, ასრულებს კომპიუტერულ მოდელირებას რეალური და რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე; ✓ ახდენს კომპლექსური ან/და ცოცხალი მატერიისა და ველის ურთიერთქმედების იდენტიფიცირებას, აგროვებს მონაცემებს, აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს აბსტრაქტული აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზის, შეფასების გზით; ✓ წარადგენს არგუმენტირებულ დასკვნებს და კვლევის შედეგებს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე; |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none">✓ მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით და ახალი სტრატეგიული მიდგომებით;✓ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და სხვების სწავლის, საქმიანობის და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვაზე, როგორც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ფართო მსოფლმხედველობის მქონე ფიზიკოსი. |
|--|---|